პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაგზავნა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 141 სამშაბათი, 23 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 23 აგვისტო, 1921 წ. № 141

23 აგვისტო
სამშაბათი

1906. ლატიშური სოციალ დემოკრატია შეერთდა რუსეთის სოციალ დემოკრატიას.
1879. ოდესაში ჩამოახრჩვეს: ლიზოგუბი, ჩუბაროვი, დავიდენკო.

დღიური:

— გარდაიცვალა რუსეთის ცნობილი მგოსანი ბლოკი.
— ამერიკის მთავრობა წინადადებას [illegible] ხელშეკრულებებისა და მხარს უჭერს [illegible] რუსეთთან.
— საფრანგეთსა და გერმანიაში [illegible] ქართა და მეღვინეთა გაფიცვები.
— ნიუორკში შედგა ზანგთა ყრილობა რომელიც მოითხოვს აფრიკის განთავისუფლებას ევროპელებისაგან

კონცესიების საკითხი.

კონცესიების საკითხთან მჭიდროთ დაკავშირებულია ბურჟუაზიის ახალი როლი საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობაში. კითხვა ასე სდგას: რაკი საბჭოთა მთავრობა კონცესიებს აძლევს ბურჟუაზიას და ამით სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს ბურჟუაზიული თაოსნობა, ხომ არ ხდება ამით სამეურნეო სისტემის ძირითადი გარდაქმნა, მისი ბურჟუაზიულ წყობილებათ გადაქცევა?

ბევრ ამხანაგს გულწრფელათ გონია, რომ კონცესიების გაცემის სახით საბჭოთა მთავრობამ თავისი კაპიტულიაცია გამოაცხადა და მეურნეობის ბედი ბურჟუაზიის ჩაუგდო ხელთ.

ვნახოთ, რამდენათ მართალია ასეთი შეხედულება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კონცესიების გაცემა და ფაბრიკა-ქარხნების საიჯაროთ მიცემა მართლა მოასწავებს ახალი კურსის, ახალი გზის აღებას მეურნეობის სფეროში. ეჭვს გარეშეა, საბჭოთა მთავრობა არ მიმართავდა ამ ზომას, მას რომ შეეძლოს საკუთარი ძალღონით აღადგინოს ხანგრძლივი ომების გამო განადგურებული მეურნეობა. ისიც ცხადია, რომ ბურჟუაზიის დაშვება სამეურნეო ასპარეზზე თავისთავათ არ მოასწავებს კომუნიზმის გაძლიერებას, პირიქით, ეს იწვევს ბურჟუაზიული პრინციპების შემოჭრას საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში.

ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ ნუთუ ეს ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების კაპიტულიაციას ბურჟუაზიის წინაშე, როგორც ეს გონია ზოგიერთ გულუბრყვილო ამხანაგს?

მოვიგონოთ ახლო წარსული, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იდგა არა ნაკლები გასაჭირის წინ. ეს იყო სამხედრო ფრონტის მეტის-მეტად კრიტიკული მდგომარეობა, როდესაც შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლუციით გარშემორტყმულს არ ჰპოვებოდა შესაფ. შეიარაღებული ძალა მუშურ-გლეხური სამშობლოს დასაცავათ და გადასარჩენათ. რევოლუციის მონაპოვართა შორის უძვირფასესი განძი—მუშურ-გლეხური მთავრობა—უდიდეს განსაცდელში იმყოფებოდა. აუცილებლათ საჭირო იყო ძლიერი, მუდმივი ჯარის შექმნა და ამისთვის კი სახელმწიფოს ხელისუფალთ—მუშებსა და გლეხებს—არ მოეპოვებოდა არც თეორეტიული ცოდნა და არც პრაქტიკული გამოცდილება. ორივე ამ თვისებით სათანადოთ იყო აღჭურვილი ძველი ჯარის ხელმძღვანელ მეფეური ძალა—ოფიცრობა და გენერლობა. მაგრამ ეს ძალა უაღრესათ კონტრ-რევოლუციონური იყო, და რა თქმა უნდა საშიშროებას ბადებდა იმის ფიქრიც კი, რომ მას გადაეცემოდა საბჭოთა წითელი ჯარის შედგენის საქმე.

მაშინაც დიდი რყევა იყო ამ საკითხის გამო. ყველა შიშობდა, ვაი თუ ძველი ოფიცრობის მოწვევით საბჭოთა სამსახურში აღდგენილიყო და გამეფებულიყო ძველი რეჟიმი, და მუშები და გლეხები კვლავ ჩავარდნილიყვნენ მათ მოსისხლე მტრების ხელში.

რა მოხდა სინამდვილეში? მოხდა ის, რომ საბჭოთა მთავრობამ მშვენივრათ გამოიყენა თავისი მიზნებისთვის ძველი ოფიცრობა, შეადგინა უძლეველი წითელი ჯარი, რომელიც დღეს არა მარტო იცავს მუშურ-გლეხურ სამშობლოს, არამედ შიშის ზარს სცემს მშრომელი ხალხის მტრებს მთელს მსოფლიოში. გაცრუვდა მათი იმედები, ვინც ძველი ოფიცრობის მოწვევაზე დამყარებული ოცნებობდა ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდებოდა და სოციალური რევოლუციის გზა გადაიჭრებოდა.

მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე ბურჟუაზიაც? შეიძლება, თუ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა რესპუბლიკების არსებულ შინაურ ვითარებას. ვითარება კი ასეთია: წარმოების თითქმის ყველა წყაროები და საშუალებანი მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხელშია. წარმოებისათვის, რომელშიაც ჩავაბამთ ბურჟუაზიას, რათა გავიმარჯვოთ სამეურნეო ფრონტზე, სწორედ ისევე, როგორც გავიმარჯვეთ სამხედრო ფრონტზე ძველი ოფიცრობის დახმარებით ამ წარმოებისათვის აუცილებელი საჭიროა უმთავრესათ და უპირველესათ სათბობი, ნედლეულობა და სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც მუშებისა და გლეხების ხელშია და არა ბურჟუაზიისა, რომლის გამოყენებასაც ჩვენ ვფიქრობთ სავსებით დამოკიდებული იქნება საბჭოთა ხელისუფლებისაგან. ის იძულებული იქნება იმუშაოს საბჭოთა ეკონომიური გეგმებისა და პროგრამის მიხედვით მას ნებას არ მისცემს საბჭოთა ხელისუფლება დაამზადოს მუშებისა და გლეხების სათბობითა და ნედლეულობით საფუფუნო საგნები, რომლებიც არ წარმოადგენს უკანასკნელებისათვის პირველ მოთხოვნილების მოსახმარ საგნებს. და თუ პირველი მაინც ურჩობას გამოიჩენს, მას ისეთივე ბედი ეწევა, როგორიც ეწვია ძველი ოფიცრობის იმ ნაწილს, რომელიც არ იქნა გამოყენებული ახალი ჯარის შედგენაში. ამგვარად საბჭოთა ხელისუფლების მიერ ახალი ღონისძიებანი ეკონომიურ აღმშენებლობის დარგებში სრულიადაც არ მოასწავებს პირველის დამარცხებას და კაპიტულიაციას კაპიტალიზმის წინაშე. ეს ისეთივე ზომის მიღება ეკონომიურ ფრონტზე გასამარჯვებლად, როგორიც იყო ძველი გენერლების გამოყენება სამხედრო ფრონტზე გამარჯვებისათვის.

რას ნიშნავს პარტიის გაწმენდა და გამაგრება?

ბევრს ჩვენს ამხანაგს საქმე ისე წარმოუდგენია, რომ თუ მაგრათ და ხმა მაღლა წარმოსთქვა, პარტია უსათუოდ უნდა გაიწმინდოს და გამაგრდესო, მორჩა, გათავდა, მას ჰგონია საქმე გააკეთა, თავი ქუდს შეაფარა და მოისვენა.

მაგრამ უნდა ერთხელ და საბოლოოთ გავიგოთ, კარგათ დავიხსომოთ, რომ დღეს თავი და თავი ის კი არაა, თუ რა პრინციპი უნდა გავატაროთ—ეს უკვე ცნობილია, არამედ ის, თუ როგორ, რა გზით და ფორმით შეიძლება ამ პრინციპის ჩვენს ცხოვრებაში გატარება. აი როგორ უნდა დავაყენოთ კითხვა.

ხუთი თვეა, რაც საქართველოში ჩვენი პარტია ჰმართავს სახელმწიფოს, ხუთი თვეა, რაც ის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას შეუდგა. მან თავიდანვე გაიმძღვარა წინ ის მოსაზრება, რომ თუ თვითონ არ იქნება მტკიცე, მაგარი და წმინდა, ეგ იგი ვერც ვერავითარ სახელმწიფოს შექმნის და ვერც გაუძღვება მას.

ამიტომ იყო, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პირველ თვიდანვე გამოაცხადა პარტია უნდა გაიწმინდოს, ხელახალი რეგისტრაცია უნდა მოხდესო; ამიტომ იყო, რომ იმავე კომიტეტმა პარტიის გამაგრების „ორკვირეული" დანიშნა და გადაწყვიტა, რომ უპირველესათ ყოვლისა ჯერ პარტია გაამაგროს და მერე შეუდგეს ყოველგვარ სხვა აღმშენებლობას ვინაიდან პარტია ეს ის ფერმენტია, რომლითაც ღვივდება ყოველგვარი საზოგადოებრივი შემოქმედება, ის ცემენტია, რომლითაც კავშირდება, მაგრდება და მტკიცდება ყოველგვარი საქმიანობა.

მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? ჩვენ „ხირაქლემასავით თავს ვერ შევყოფთ სილაში", რომ მტერმა არ შეგვნიშნოს და ამით მისი სასიკვდილო ისარი ვითომდა თავიდან ავიშოროთ, ჩვენ, ცხადია, ამ უსუსურ ფეხმარდ ფრთოსანს ვერ მივბაძავთ.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ და მისმა დიდმა წინამძღოლმა დღიდან თავისი რევოლუციური საქმიანობისა მოგვცა ჩვენ პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპი—დევიზი. ისწავლეთ, გზა გაიწმინდეთ თქვენივე შეცდომების შეგნებითა და შესწავლით. ჯერ თქვენივე შეცდომა აღიარეთ და მერე საქმის გამოსწორებას შეუდექით. აი რას გვასწავლის ჩვენ თავიდანვე ჩვენი უკეთესი ხელმძღვანელი ამხანაგი ლენინი.

ჩვენ კი ამას დღესაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ და მივდივართ ვითომ წინ შეცდომების გამოსწორების გზით კი არა, არამედ შეცდომების გამრავლების, გამეორების გზით. შეიძლება ჩვენ ამ გზითაც არ გადავიჩეხოთ უფსკრულში, შეიძლება მალე გავიდეთ „სამშვიდობოზე" და თავისუფლათ ამოვისუნთქოთ, მაგრამ ეს არ იქნება შედეგი ჩვენი საქმიანობა—გამჭრიახობისა, არამედ ისეც, როგორც წინანდელი სხვა ყველაფერი, შედეგი იქნება იმ პროლეტარული ძალებისა, რომლებმაც რუსეთის ხალხს ახალი ცხოვრების დასაწყისი მოანიჭეს. მერე ჩვენ რაღა?! ჩვენ მაშინ ერთი არაკის მკვეხარა ბუზივით უნდა ვიძახოთ: „ჩვენც ვხნავდითო", არა?

ერთ დროს ჩვენ, მარქსისტებს, მოწინააღმდეგე იდეოლოგები ფატალისტებსაც გვეძახდენ და ეს იმ საბუთით, რომ ჩვენ გვრწამდა, და გვრწამს რომ კაპიტალიზმი ეს ის ძალაა, რომელიც სოციალიზმს ნიადაგს უმზადებს და მისი წინასწარი საფუძველია.

მაგრამ ჩვენ, ცხადია, ფატალისტობისგან შორს ვიყავით ყოველთვის და ახლაც შორს უნდა ვიდგეთ. საქართველოს კომუნისტებმა რომ ხელი [illegible] ცხადია მსოფლიო რევოლუცია ამით არ შეჩერდება და არც დამარცხდება ამით არც ჩვენი ხალხი ჩამორჩება ცხოვრებას და თუ მისი ძლიერი მეზობელი, რუსეთის ხალხი შეძლებს სოციალიზმისაკენ გზის გაკაფვას, ისიც „[illegible]ით მაინც გაჰყვება მას უკან" და სხვა უკან ჩამორჩენილ ხალხებზე წინ მაინც წავა.

კაპიტალიზმმა ჩვენში ნიადაგი სოციალიზმისთვის საკმაოთ მოამზადა და შექმნა პირობები, რომ კომუნისტური პარტია წარმოშობილ იყო, მაგრამ ამასთან ეს პირობები ისეთი ხასიათისაა, რომ ჩვენს პარტიას ძალების ფართოთ გაშლის ნებას და სწრაფი ზრდის საშუალებას არ აძლევს. მით უფრო გვმართებს ჩვენ გულზე ხელის დაკრეფის ნაცვლათ მეცადინეობა, რომ გადავლახოთ უძრაობის და უმოქმედობის ზღვარი გავიდეთ ფართო და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას ენერგიულათ შეუდგეთ, ვინაიდან „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს".

და აი ჩვენ მაინც უნდა ვიმოქმედოთ, რაც შეიძლება ნაკლები მტკივნეულობით იშვას ჩვენში ის წყობილება, რომელიც სოციალიზმ-კომუნიზმი ეწოდება და რომელიც ხასიათდება ყოველივე ძველის დაშლა-დაქცევით და ახლის შექმნა შედგენით. ეს კი შეიძლება ორი აუცილებელი მთავარი პირობის დაცვით. 1) თუ საქართველოს კომუნისტი ანგარიშს გაუწევს ადგილობრივ კონკრეტიულ პირობებს და 2) შესწავლილ-გამოსწორებული იქნება ყველა ის შეცდომები, რომელიც დღემდე ჩვენს პარტიას მოსვლია ან მოსდის.

საქმე ის კი არაა, რომ პარტიამ თავისი დადგენილებით, რეზოლუციებით და ცირკულიარებით აღნიშნოს ეს პირობები და საჭიროთ სცნოს მისი სისრულეში მოყვანა, არამედ ის რომ გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები, თვითონვე გაატაროს ცხოვრებაში თავისი დადგენილება.

ჩვენ ბევრი ვიცით იმისი მაგალითი, რომ პარტიული ორგანიზაცია ადგენს ერთს, ხოლო პრაქტიკაში ან სულ არ სრულდება ეს ანდა შეცვლით, გადამახინჯებულათ, უკეთეს შემთხვევაში მეტათ სუსტათ ტარდება ის. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი პარტია ამ ხუთი თვის წინათ შეუდგა თავის რიგების განწმენდის საქმეს და ის დღესაც არაა განწმენდილი, პირიქით კიდევ უფრო გაისვარა და შეილახა მისი რაზმები; და ეს მოხდა იმ ტომ, რომ პრაქტიკაში სულაც არ გატარდა ხელ ახალი რეგისტრაციის პრინციპი.

დღესაც ვფიქრობთ პარტიის რადიკალურათ განწმენდას და დღესაც ის მოხდება, რაც წინათ, თუ პრაქტიკაში დაუზოგველათ არ გატარდა განწმენდის პრინციპი.

და ეს გაწმენდა მაშინ დადგება მკვიდრ საფუძველზე, როცა ეს აზრი მტკიცეთ ექნებათ ჩანერგილი ხელმძღვანელ ორგანოებს.

მთელი უბედურება იმაშია, რომ განწმენდას ხელმძღვანელი ორგანოები ქვედა ორგანიზაციებისთვის ცნობენ საჭიროთ, მაშინ როდესაც უპირველესათ საჭიროა თვით ეს ხელმძღვანელი ორგანოები იქნენ განწმენდილი, ვინაიდან სხვისი განკურნება მას ძალუძს, ვისაც თავისი თავის განკურნება შეუძლია.

ჩვენი ხალხის სიბრძნე ამბობს: „ქაჩალს რომ შეეძლოს, უპირველესათ თავს მოირჩენდაო". ამ თქმისა არ იყოს, მაშ ვინაა ამ სენის მკურნალი, ვის შეუძლია ჩვენი პარტიის ამ სუსტი მხარის გამოსწორება, გამაგრება? მხოლოდ მას, ვინც წყაროა და საფუძველი ამ პარტიისა, ვინც ასაზრდოებს და ჰკვებავს ამ პარტიას. ესენი არიან მუშათა და გლეხთა შეგნებული წრეები, საიდანაც უნდა დგებოდეს ეს ხელმძღვანელი ორგანოები.

კომუნისტი, ვისაც ამ მასსების ნდობა არ დაუმსახურებია, არ შეიძლება იყოს სწორი ხელმძღვანელი პარტიისა, თუნდაც ის დიდათ ნიჭიერი და მცოდნე პირათ ითვლებოდეს პარტიაში. ამხ. ლენინს რომ მილიონიან მასსების სრული ნდობა და მისი ამ მასსებთან ურთიერთობა არ ამხნევებ-ამაგრებდეს, შეიძლება დღეს იგი პარტიის მებაირაღტრე არც ყოფილიყო.

პარტიული მასსა და მუშათა კლასი, აი რას უნდა ემყარებოდენ. ხელმძღვანელი ორგანოები და თუ ხელმძღვანელები მოკლებული არიან ამ მასსების ნდობას ისინი თვითონვე უნდა გადადგენ სამოქმედო ასპარეზიდან.

აი საიდან უნდა დაიწყოს ჩვენი პარტიის გაწმენდა, ჩემი აზრით, და აი რას უნდა მიაქციონ მთელი თავისი ყურადღება ჩვენმა პარტიულმა მასსებმა.

პარტიის გამაგრებაზე შემდეგ.

რაჟდენ კალაძე.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

მისალმებანი საქართველოს რევკომს.

ტყიბული. საქართველოს რევკომის თავმჯდომარის სახელზე ტყიბულიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: საქართველოს კომპარტიის ტყიბულის რაიონული ლეგალური კონფერენცია აღფრთოვანებით ესალმება მუშურ-გლეხურ მთავრობას თქვენის სახით და იმედოვნებს ჩვეულებრივი სიმამაცით გასწევთ წინ იმ წესწყობილების განსამტკიცებლად, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყავართ. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას და მის სამხედრო შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ჩვენს პროლეტარულ საბჭოთა მთავრობას და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას. ხელს აწერს კონფერენციის თავმჯდომარე.

ხაშური. პირველი ლეგალური კონფერენცია კომპარტიის ხაშურის რაიონისა, შეკრებილი 7 აგვ. უძღვნის გულწრფელ და ამხანაგურ სალამს ხელმძღვანელს კომუნისტურ მოძრაობისა საქართველოში კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რევოლუციონურ კომიტეტს და ფიცსა სდებს, რომ კომუნისტური პარტია ხაშურის რაიონისა მოახმარს მთელ თავის ძალღონეს კომუნისტურ პარტიის ყველა ამოცანების განხორციელებას. ხელს აწერს კონფერენციის თავმჯდომარე.

ზანგეზური. საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ სომხეთიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ზანგეზურის მშრომელი გლეხობა, რომელიც შეიკრიბა პირველ ყრილობაზე დაშნაკების—ევროპის კაპიტალის ამ მონების განდევნის შემდეგ, თქვენის საშუალებით ძმურს სალამს უძღვნის მთელ ქართველ ხალხს. სასიამოვნოა არის გრძნობა იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ მყარდება მრავალ საუკუნოებით მეზობელ ხალხთან ძმური ცხოვრების ახალი ერა, ეპოქა მშვიდობიან შრომისა და ეკონომიურ და კულტურულ აყვავებისა. ამიერიდან ბოლო მოეღო იმპერიალისტების ხრიკებს, რომელნიც წინეთ ერთი მეორეს უტევებდნენ და ერთმანეთში იბრძოდნენ. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მშვენიერ საქართველოს და საბჭოთა სომხეთის დაურღვეველ ერთიანობას. ყრილობის პრეზიდიუმი.

ბათომი

16 აგვისტო. (ტელეგრაფით) უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში მოვიდა ოსმალეთიდან და ყირიმის სანაპიროდან 13 მოტორიანი და იალქნიანი ხომალდი შეშით, თამბაქოთი, მარილით, მედიკამენტებით, სამეურნეო იარაღებით, წამალ ხამებით, შაქრით, ბრინჯით, ქერით, ფქვილით, მანუფაქტურით, საპნით და წმინდა სანთლით.

— ოსმალეთში წავიდა 10 გემი ნავთით.

— გემმა „ფრანც ფერდინანდმა" მოიყვანა 76 მგზავრი და მოიტანა 260 ტონა ფქვილი, შაქარი, მანუფაქტურა და მაკარონი.

— გემმა „კონსტანტინოპოლმა" წაიყვანა 16 მგზავრი და წაიღო ბევრი ნავთი.

— გემმა „პალონიამ" წაიღო 65 ფუთი ნავთის ნაწარმოები.

— სტამბოლიდან მოვიდა იტალიის გემი „ადრია", რომელმაც მოიტანა 250 ტონა სხვა და სხვა ტვირთი და მოიყვანა 76 მგზავრი.

— სოხუმიდან მოვიდა 2 მოტორი 7000 ფუთი თამბაქოთი, 1000 ფუთი მარილით.

შულავერი.

16 აგვისტო, (ტელ.), რადგან საქართველოს კომუნ. პარტიის სამაზრო კომიტეტმა ფორმალურ საბუთების ძალით არ დაამტკიცა პირველი სარაიონო კონფერენცია და რადგან დადგენილია, რომ კონფერენცია ხელახლად მოიწვიონ, 15 აგვისტოს ხელახლათ მოხდა სხდომა შულავერის სარაიონო პარტიულ კონფერენციისა. დაესწრო 17 დელეგატი, დღიური წესრიგი ასეთი იყო: რაიკომისა და სამაზრო კონფერენციის დელეგატების არჩევნები რაიკომში არჩეულ იქნენ: აკოფოვი, ნასიბოვი, არუთინოვი, კირაკოზოვი, ფირუმოვი.

სამაზრო კონფერენციისთვის აირჩიეს: ამხ. რუბენ ფეცოსიანი, არამ გრიტიანი, გარაკან აკოფოვი და გიგოლ კირაკოზოვი.

მანგლისი

17 აგვ. (ტელეგ.). ადგილობრივმა ფოსტა ტელეგრაფის კანტორამ მოაწყო მუდმივი კავშირი თბილისთან; ფოსტა მიდი მოდის კვირაში ორჯერ. აღადგინეს და წესიერათ მუშაობენ ტელეფონი და ტელეგრაფი.

ქუთაისი

17 აგვ. (ტელეგ.). ქუთაისის ყველა თეატრებსა და კლუბებში იმართება წარმოდგენები, მიტინგები და კონცერტები საბჭოთა რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთ. გუბერნიაში სხვადასხვა ადგილას გამოდიან ორატორები და მოუწოდებენ ხალხს უშველონ დამშეულებს. დამსწრეთა შორის ჰკრებენ შემოწირულებას. შეადგინეს ქალაქში არსებულ ყველა საპარიკმახეროების [illegible]. 19 აგვისტოს დღის მთელი მათი შემოსავალი დამშეულებისთვის გადაიდება. საპარიკმახეროებში ფულის მოკრების თვალის მადევნებლათ გაიგზავნებიან იმ დღეს პარტიული ამხანაგები და წითელ არმიელები. ბევრნი აპირობენ დახმარებას საერთო მტრის—შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქუთაისის მიდამოებში და ახლო-მახლო სოფლებში იგზავნება საგიტაციო პოვოსკები და წითელი ქარავნები გლეხთა შორის აგიტაციის გასაწევათ. შემოწირულებას ჰკრებენ; შედეგი დამაკმაყოფილებელია. როცა ქალაქში ჩაატარებენ დახმარების კვირას, მერე მთელ ყურადღებას მიაქცევენ სოფლებსა და დაბებს, საგიტაციო მატარებლები შაბათს წავიდნენ ტყიბულის შტოზე დაც საგიტაციო მატარებელი მუსიკის ორკესტრით, ორატორებით და აგრეთვე არტისტების ჯგუფები დადგება ყოველ სადგურზე, სადაც გაიმართება მიტინგი, კონცერტები დას გამენ აგრეთვე რამდენიმე რევოლუციონურ პიესას, რომელთა წარმოდგენის დროსაც მოკრებენ შემოწირულებას. კონცერტები, მიტინგები და წარმოდგენები გაიმართება ჭიათურასა და ტყიბულშიაც. ასეთივე საგიტაციო მატარებელი გაემართება სადგურ რიონისკენაც.

— ქუთაისის კომუნალური მეურნეობის გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღო 200 ძალიან ელექტრონის მოტორის შესაკეთებლათ, რომელიც უკვე წელიწადია აღარა მოქმედებს. რემონტისთვის საჭირო ზოგი ნაწილები მოიტანეს, ზოგსაც მალე მოიტანენ. ამის შემდეგ შეუდგებიან შეკეთებას. იმედია, რომ მანქანა ერთი თვის შემდეგ იმოქმედებს.

ახალი სენაკი. 17 აგვ. (ტელ.) ახალსენაკში დაარსდა მუშა გლეხთა ახალგაზრდობის სარაიონო ბიურო.

— ბანძის რაიონში ყველა თემებში დაარსდა იაჩეიკები, რომლებშიაც სწარმოებს კულტურულ საორგანიზაციო მუშაობა სარაიონო ორგანიზატორების საშუალებით. კრებებზე კითხულობენ ბროშურებს, გაზეთებს; კვირაში ერთხელ მეცადინეობენ პარტიის წევრებთან ორ ორ საათს.

— ახალ სენაკის რაიონში სასურსათო კრიზისი იჩენს თავს. სანიტარულ მდგომარეობის მხრივ ეს რაიონი სათანადო სიმაღლეზე დგას იმის მეოხებით, რომ ყოველ თემში არსებობს სანიტარული კომისია.

ახალ-სენაკი

17 აგვისტო. (ტელ.) აგვისტოს პირველ რიცხვებში მოვიდა დიდი წვიმა. რის გამო ახალ-სენაკის მაზრაში საშუალო მოსავალს მოელიან.

— მოსაზრებულია მომავალი გეგმა პარტიულ მუშაობისა იაჩეიკებში და საბჭოთა სხვა დაწესებულებებში. ხელახლად ადგენენ ქალების ორგანიზაციას ნაქალაქევის რაიონში. საერთოთ პარტიული მუშაობა ცოცხლდება; ყოველ თემში იაჩეიკა არსებობს. კვირაში ერთხელ მეცადინეობენ პარტიის წევრებთან. კითხულობენ გაზეთებს და ბროშურებს. არსებობენ სამკითხველოები, მაგრამ სამწუხაროთ ლიტერატურა და გაზეთები რიგზე არ მოდის.

— რაიონში სასურსათო კრიზისია ეპიდემიური ავადმყოფობა ჯერ არაა. არსებობენ საავათმყოფოები და თემებში ფელდშერის პუნქტები და აფთიაქები.

— ამ დღეებში დასრულდა ორკვირეული პარტიის გასამაგრებლათ. სენაკის მაზრაში იმართება სარაიონო კონფერენციები და ემზადებიან სამაზრო კონფერენციისთვის.

ქუთაისი.

19 აგვისტო (ტელ.) მეფის მთავრობა 30 წელიწადს ემზადებოდა მაზრაში სარწყავ არხების გასაყვანათ, მაგრამ უშედეგოთ. ქალ. ქუთაისის და მის მიდამოების მუშები და გლეხები კი ამას ერთის დღეს ანხორციელებენ. კვირას, 21 აგვისტოს ამ მიზნით იმართება გრანდიოზიული კვირაობა ქუთაისის მაზრის სოფლებისთვის სარწყავ არხების გასაყვანათ. მოსარწყავ ადგილების სივრცე 12,000 დესეტინაა, კომლი—3650, და სულ—20,000. მორწყვამდე მოსავალი არ აღემატებოდა 15 ფ. დესეტ. ხოლო მთელ სივრცეზე—180 000 ფუთს; მორწყვის დროს მოსავალი გაიზრდება ერთი ათად, რაც დესეტინაზე მოგვცემს 150 ფუთს, ხოლო მთელ სივრცეზე 1.800,000 ფუთს. გლეხები აღტაცებაში არიან განზრახულ მუშაობისაგან და მოსავლის ნაწილს რუსეთის დამშეულთ ჰპირდებიან; მასალა სამუშაოთ უკვე მზათაა. ჰფიქრობენ, რომ მთავარ არხის სიგძე 1 ვერსზე მეტი იქნება, სიგანე—1 ნახ. საჟენი, სიმაღლე—2 არშინი. ამას გარდა, მთავარ არხიდან რუები იქნება გაყვანილი ყოველ სოფელში. მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ 1,200 კაცამდე, უმთავრესად პარტიული ამხანაგები, წითელარმიელები და აგრეთვე მოხალისენი.

აფხაზეთი.

სოხუმი. 19 აგვისტო. (ტელ.). აფხაზეთის კომპარტიის საორგანიზაციო ბიუროს და რევკომის დადგენილებით სოხუმში დაარსდა დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტი შეუდგა იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ რა სახით გაუწიონ დახმარება ვოლგის მხრის დამშეულებს.

სოხუმის მუშა-ქალების საერთო საქალაქო კონფერენციამ დაადგინა პურის ულუფა გადასდონ დამშეულთა სასარგებლოთ. სახალხო კავშირის მოსამსახურეთა საზოგადო ყრილობამ დაადგინა აგვისტოს ჯამაგირის 10 პროც. მისცეს დამშეულთა სასარგებლოთ. მიიღეს ზომები დამშეულ ვოლგის მხარის დასახმარებლათ. აფხაზურ გაზეთის „წითელი აფხაზეთის" თანამშრომლებმა დაადგინეს ყოველთვე ჯამაგირიდან და სასტრიქონო ჯილდოდან ერთი ნაწილი გადადონ დამშეულთა სასარგებლოთ და აგრეთვე ყოველდღიურ პურის ულუფის ნახევარი.

„წითელ აფხაზეთის" რედაქტორი აფხაზეთში მოგზაურობს „ვოსტკავროსტას" წარმომადგენლთან ერთად კედლის გაზეთის გამოსაშვებად და აგრეთვე საპლაკატო მოწოდებათა გამოსაცემად აფხაზეთის ხალხისადმი, რომ შეძლების და კვალად შემწეობა გაუწიონ დამშეულ ძმებს—ვოლგის მხრელებს.

— აფხაზეთის სამხედრო კომისარიატის პოლიტიკურმა განყოფილებამ მოაწყო დახმარების კვირა დამშეულთა სასარგებლოდ. გამართეს საპლაკატო კონცერტები, წარმოდგენები და სხვა გართობა დამშეულთა სასარგებლოთ.

— „როსტან" აფხაზეთის განყოფილებამ დაავალა სამაზრო საინფორმაციო აპარატებს სასწრაფოთ გამოიკვლიონ მთელ აფხაზეთში მოსავლის რაოდენობა, ნათესობის მდგომარეობა; დასკვნები უნდა დასაბუთებულ იქნან ციფრებით.

— გაიმართა აფხაზეთის სახალხო კავშირის მოსამსახურეთა კონფერენცია.

რუსეთი

ალექსანდრე ბლოკის გარდაცვალება.

პეტროგრადი. 12 აგვისტო (ტელ.) კუს ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა ცნობილი პოეტი ალექსანდრე ბლოკი.

საქონელი საზღვარ-გარედან

პეტროგრადი. 14 აგვისტო (ტელ.) ორი დღის განმავლობაში პეტროგრადის საბაჟოში ესტონეთის გზით

კომინტერნის მესამე კონგრესი

ამხ. ლენინის სიტყვა.

— ამხ. ლადზარი,—ამბობს ამხ. ლენინი,—გვთხოვდა აქ მოგვეყვანა რაიმე ფაქტები, რომლებიც ლაპარაკობდენ იტალიის პარტიის რეფორმისტულ ხასიათზე. მაგრამ თვით ოპორტუნისტების არსებობა პარტიაში, და მასთან ცალკე პირების კი არა, არამედ მთელი ჯგუფის—განა ეს ფაქტი არაა? ამ ოპორტუნისტების ჯგუფი არ ახალია—ის გუშინ არ დაარსებულა პარტიაში. როდესაც ბერნშტეინი გამოვიდა თავისი რევიზიონიზმით, მან ჰპოვა მხურვალე მხარის დაჭერა იტალიის ყველა რეფორმისტებში ტურატის მეთაურობით. ამხ. ლადზარი ფიქრობს, რომ ეს არაა ფაქტები. მეორე კონგრესის შემდეგ, როდესაც სერრატი დაბრუნდა იტალიაში, რეფორმისტებმა პრესაში გახსნეს კომპანია კომინტერნის წინააღმდეგ და პარტიულ ყრილობის წინ მოიწვიეს რეჯიო-ემილიაში თათბირი. რაა ეს, არაა ფაქტები? ეს მთელი ოპორტუნისტული ფრაქციაა. ეს უკვე თითქმის რაღაც უფრო მეტია, ეს ახალი პარტიის დასაწყისია. თუ ლადზარი ამბობდა: თქვენ იცნობთ რუსეთის ხალხის სულს, მაშ ნება გვიბოძეთ ჩვენც ვიცნობდეთ იტალიის ხალხის სულსო (მე საკუთარად ასეთ გამოთქმებს არ ვიხმარდი), მაშინ ვთქვათ, რატომ ვერ სცნობს მენშევიკების, რასაკვირველია იტალიის, და არა რუსეთის, სულს? მაგრამ საქმის არსებით მხარეს ეს არ ცვლის. უდიდესი უბედურებაა მუშათა პარტიისათვის, თუ ის დროზე არ სწყვეტს კავშირს თავის რეფორმისტებთან. ასე იყო გერმანიაში, სადაც მუშათა მოძრაობა თითქმის უკანასკნელ დღემდე იტანჯებოდა ომის გამო. ასეა დღეს იტალიაში, სადაც ომამდე იყო საჭირო რეფორმისტებთან კავშირის გაწყვეტა. მაგრამ ერთი წლის უკან ამავე დარბაზში როგორი მოტივები მოყავდა სერრატის იმისთვის, რომ ჯერ არ უნდა გავწყვიტოთ კავშირი რეფორმისტებთანო? არავითარი. როგორი მოტივები მოყავდა დღეს ლადზარის? აგრეთვე არავითარი. ამხ. ლადზარიმ მოიყვანა აქ ციტატა ფრონტიერიდან, რომ კომპარტიას უნდა ქონდეს მოქნილი ტაქტიკა. სავსებით სწორია, და ტყვილად ელაპარაკება სერრატი იტალიის გაცვეთილ ნივთებზე, რომ ჩვენ, რ. კ. პ., გვსურს მოვახვიოთ თავზე სხვა პარტიებს ბრმა წაბაძვა ჩვენზე. ასეთი საგნებით ვერ ააცდენ იტალიის პროლეტარიატს ჭეშმარიტ გზას. პირიქით, ჩვენ ყველას გეუბნებით, რომ უნდა გაუწიონ ანგარიში დროსა და ადგილის პირობებს, რომ ბრმათ არ უნდა გადაიღონ რუსეთის რევოლუციის გამოცდილება. მაგრამ ჩვენ ვეუბნებით ამას მხოლოთ იმ პარტიებს, რომლებიც სავსებით გაიწმინდენ რეფორმისტულ ელემენტებისაგან, ჩვენ ვეუბნებით ამას კომუნისტურ პარტიებს. ფაბრიკების ხელში ჩაგდების ისტორიაში რეფორმისტებმა სავსებით გამოაშკარავეს თავიანთი თავი. და დღეს იტალიის სოციალისტური პარტია სავსებით მომწიფდა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისათვის. ჯერ კიდევ კანტალშიც აშკარა იყო, რომ მოდილიანი უკვე მზად იყო ამისთვის. ფუჭია დაყრდნობა იმაზე, რომ მოდილიანი არ შესულა მთავრობაში. ის საკმარისათ ჭკვიანი იმისთვის, რომ თავი შეიკავოს ამისაგან და მშვენივრათ ემსახუროს ბურჟუაზიას. რა დაგვანახა ყრილობამ ლივორნოში? რეფორმისტებმა ქონდათ 14.000, კომუნისტებს 58.000 და ცენტრისტებს—98.000 ხმა. ეს გვაჩვენებს იმას, რომ კომუნისტური მოძრაობა იტალიაში გაიზარდა სწრაფათ, გაცილებით სწრაფათ, ვიდრე თითქმის რუსეთში. ჩვენ რუსეთში რევოლუციის წინ უმცირესობაში ვიყავით ჩვენი რეფორმისტების,—მენშევიკებისა და ეს ერების, წინააღმდეგ. იტალიაში პირობები გაცილებით უფრო უმჯობესია იქ მუშათა მასა გაცილებით უფრო ძლიერათაა ჩათრეული კომუნისტურ მოძრაობაში და ეს არა რუსული მასშტაბით გაზომვით, არამედ სწორეთ იტალიის პირობების მიხედვით, ე. ი. ისე, როგორც ამას მოითხოვდა სერრატი. სერატი ამბობდა, რომ მას უნდა მიეცეს მანევრების კეთების თავისუფლება. კარგი,—ვამბობთ ჩვენ, ვნახოთ თქვენი მანევრები. ახლა ჩვენ ვნახეთ თუ როგორ მანევრებს აკეთებდა სერატი. მან ამჯობინა 14.000 რეფორმისტული ჟურნალისტი, ვექილი და ჩინოვნიკი 58.000 მუშა-კომუნისტს, და ეს სრულიად მიუტევებელი იყო იმ შემთხვევაშიაც კი, რომ იტალიის კომუნისტები ყოფილიყვნენ თუ გინდ ანარქისტებისა და რევოლუციონური ფრაზიორებიც,—რაც არაა,—ვინაიდან არის მაინც 58.000 მუშა-კომუნისტი და ეს კიდევ არა რუსეთის პირობების მიხედვით, არამედ იტალიის. „თუ თქვენ გაგვაძევებთ ჩვენ კომინტერნიდან,—ხოლო ჩვენი კი ვიზამთ ამას,—იტალიის მუშები დაღონებული იქნებიან"-ო,—ამბობდა აქ ლადზარი. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სრულებითაც არ იქნებიან დაღონებული. კონგრესი მიმართავს მათ, უამბობს მათ, თუ რაშია საქმე, და მე ეჭვი არ მეპარება, რომ იტალიის მუშები სავსებით ჩვენს მხარეზე იქნებიან. (მქუხარე ტაში).

ამხ. ლენინის სიტყვას ფრანგულიდან რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გადათარგმნის შემდეგ სხდომა იხურება.

ნ. ლენინი.

სასურსათო გადასახადის შესახებ

(გაგრძელება იხ. „კომ." № 139)

ავიღოთ კოოპერაცია. გადასახადის შესახებ დეკრეტს ტყუილად ხომ არ მოჰყვა გადასინჯვა კოოპერაციის დებულებისა და ამ კოოპერაციის უფლებათა ერთგვარი „თავისუფლება". კოოპერაციაც არის ერთ-ერთი სახე სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისა, მაგრამ სახე ნაკლებად სადა, ნაკლებად თვალსაჩინო მოხაზულობისა და უფრო აწეწილ-დაწეწილი, რისთვისაც საბჭოთა მთავრობისათვის უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს. საქონლის წვრილ მწარმოებელთა კოოპერაციას, (როგორსაც ჩვენ ვგულისხმობთ და არა მუშათა კოოპერაციას, ამ ტიპიურ მოვლენას წვრილ გლეხთა ქვეყანაში) აუცილებლად თანა სდევს წვრილ ბურჟუაზიული და კაპიტალისტური ურთიერთობაც. საქონლის წვრილ მწარმოებელთა კოოპერაცია ხელს უწყობს უკანასკნელთა განვითარებას, პირველ რიგში აყენებს კაპიტალისტებს და სწორედ მათ აძლევს უფრო მეტ სარგებლობას. ეს ასეც უნდა იყოს, რაკი არსებითად სჭარბობს წვრილი მეურნეობა და დაშვებულია შესაძლებლობა და აგრეთვე აუცილებლობა გაცვლა-გამოცვლისა. თავისუფლება და უფლებანი კოოპერაციისა, რუსეთში დღეს არსებულ პირობებისა გამო, ნიშნავს თავისუფლებასა და უფლებებს კაპიტალიზმისას. თვალის დახუჭვა ამ ჭეშმარიტებაზე და მისი მიფუჩეჩება იქნებოდა ან დიდი სისულელე და ან დანაშაული.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს „კოოპერატიული" კაპიტალიზმი კერძო კაპიტალიზმთან შედარებით იღებს ერთგვარ სახებას სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისას და როგორც ასეთი, იგი სასარგებლოა ჩვენთვის ამ წუთას რასაკვირველია, განსაზღვრულ ფარგლებში. რამდენადაც სასურსათო გადასახადი ნიშნავს მოპარებულ (გადასახადის გადიდების შემდეგ დარჩენილ) საქონლით თავისუფლად ვაჭრობას, იმდენად ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი განვითარება კაპიტალიზმისა—ვინაიდან თავისუფლება გაყიდვაში, თავისუფალი ვაჭრობა არის განვითარება კაპიტალიზმისა—მოვამწყვდიოთ კოოპერატიულ კაპიტალიზმის კალაპოტში. კოოპერატიული კაპიტალიზმი იმითი მიაგავს სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს რომ აადვილებს ანგარიშის გაწევას, კონტროლს, თვალყურის დევნებას და მორიგებითი ურთიერთობას სახელმწიფოსა (ამ შემთხვევაში საბჭოთა) და კაპიტალისტთა შორის. კოოპერაცია, როგორც სახე აღებმიცემობისა უფრო სასარგებლოა ვიდრე კერძო ვაჭრობა, არა მარტო იმ მიზეზებისა გამო, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, არამედ იმიტომაც, რომ იგი აადვილებს შეერთებას, ორგანიზაციას, მილიონ მცხოვრებისას და შემდეგ იწვევს საყოველთაო გაერთიანებასაც. რაც თავის მხრით, არის ბუმბერაზიული წარმატება, სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თვალსაზრისით.

შევადაროთ ერთმანეთს კონცესიები და კოოპერაცია, როგორც ფორმები სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისა. კონცესია დამყარებულია მანქანურ მსხვილ წარმოებაზე, კოოპერაცია კი ეყრდნობა წვრილ ხელით ქმნილს და ხანდახან პატრიარქალურ წარმოებას. კონცესია ეხება ერთს კაპიტალისტს, ანუ ფირმას, ერთს სინდიკატს, კარტელს, ტრესტს, იმის და მიხედვით თუ ვისთანა ვდებთ ხელშეკრულებას. კოოპერაცია კი ჰფარავს, გარემოიცავს, მრავალ ათასს და ხან და ხან მრავალ მილიონს წვრილ მეურნეთა. კონცესიას სჭირია (და ეს გულისხმობს კიდეც) გარკვეული ხელშეკრულება და გარკვეული ვადა. კოოპერაციას კი არ უნდა არც გარკვეული ხელშეკრულება და არც გარკვეული ვადა. გაუქმება კანონისა კოოპერაციის შესახებ უფრო ადვილია, ვიდრე კონცესიით დადებულ ხელშეკრულების დარღვევა. ხელშეკრულების დარღვევა ნიშნავს ანაზდეულად გაწყვეტას ეკონომიურ კავშირისას ანუ ეკონომიურ „შეუღლებისას" კაპიტალისტთან, იმ დროს, როცა გაუქმება კანონისა კოოპერაციის შესახებ არამც თუ არ იწვევს გაწყვეტას საბჭოთა ხელისუფლებისა „წვრილ მეურნეთა შორის [illegible] „შეუღლებისას", არამედ ვერავითარი კანონიც კი ვერ მოსპობს ფაქტიურად მათ შორის არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას. კონცესიონერების „თვალყურის დევნება" ადვილია, კოოპერატორებთან კი ვერას გააწყობთ. გადასვლა კონცესიებიდან სოციალიზმზე არის გადასვლა მსხვილ წარმოების ერთგვარ ფორმიდან მსხვილ წარმოების მეორე გვარ ფორმაზე. წვრილ მეურნეთა კოოპერაციიდან გადასვლა სოციალიზმზე—კი არის გადასვლა წვრილი წარმოებიდან მსხვილ წარმოებაზე, ე. ი. გადასვლა უფრო რთული, მაგრამ იმითი თვისებისა კი, რომელსაც, გამარჯვების შემთხვევაში, შეუძლია გარემოიცვას, შეჰბოჭოს, მცხოვრებთა ფართო მასსები და მოსთხაროს უფრო ღრმად გადადგმული და უფრო ცხოველი ფესვები ძველი, სოციალიზმამდე და ასე გასინჯეთ კაპიტალიზმამდეც არსებულ ეკონომიურ ურთიერთობისა, მოსთხაროს და ამოგლიჯოს ის ფესვები, რომლებიც მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ხოლმე ყოველივე „ახალ მოვლენას". პოლიტიკა კონცესიებისა, თუ გამარჯვებული დარჩა, ჩვენ მოგვცემს უამრავ რიცხვს სამაგალითო—ჩვენებურთან შედარებით—მსხვილ წარმოებას, რომლებიც იდგებიან თანამედროვე დაწინაურებულ კაპიტალიზმის დონეზე და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უკლებლივ გადმოვლენ ჩვენს ხელში, პოლიტიკა კოოპერაციისა კი, თუ ეს დარჩა გამარჯვებული,—მოგვცემს ჩვენ განვითარებას წვრილ წარმოებისას და გაუსაზღვრელ ვადაში გაადვილებს გადასვლას მსხვილ წარმოებაზე, მცხოვრებთა სურვილისამებრ შეთანხმება—შეერთებით.

ავიღოთ მესამე სახე სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისა. სახელმწიფო იწვევს კაპიტალისტს, როგორც ვაჭარს და აძლევს განსაზღვრულ საკომისიო პროცენტებს სახელმწიფოს პროდუქტების გაყიდვისას წვრილ წარმოების პროდუქტთა შესყიდვისათვის. მეოთხე სახე: სახელმწიფო აძლევს იჯარით კაპიტალისტს სახელმწიფოს კუთვნილ დაწესებულებას, საწარმოვოს, ან ნაკვეთს ტყისას, თუ მიწისას და სხვა, ამასთანავე საიჯარო ხელშეკრულება უფრო მიაგავს საკონცესიო ხელშეკრულებას. სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის ამ უკანასკნელ ორ სახეზე ჩვენში არას ამბობენ, არას ჰფიქრობენ, სრულიადაც არ ამჩნევენ მათ. და ეს ხდება არა იმიტომ რომ ჩვენ ძლიერნი და ჭკვიანნი ვიყოთ არამედ ხდება იმიტომ, რომ ჩვენ სწორედ უძლურნი და სულელნი ვართ, ჩვენ გვეშინია „მდაბალი ჭეშმარიტებისათვის" თვალი ვერ გაგვისწორებია და ხშირად ვიძლევით ხოლმე „ჩვენს ამამაღლებელ თვის-მოტყუებას". ჩვენ გაუწყვეტლივ ვბორძიკობთ და აზროვნება გვეხლართება იმიტომ რომ „ჩვენ" გადავდივართ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, მაგრამ ის კი გვავიწყდება წარმოვიდგინოთ: ვინ არის, ხელდობრ, ეს „ჩვენ". საჭიროა მუდამ გვახსოვდეს და თვალწინ გვედგას 1918 წლის მეხუთე წერილში აღნიშნული, ჩვენს ეკონომიკაში გამეფებულ საზოგადოებრივ მეურნეობის ყველა წყობილება,—ყველა გამოუკლებლივ—და მაშინ ნათლად წარმოვიდგენთ, თუ ვინ არის ეს „ჩვენ". „ჩვენ," ავანგარდი მოწინავე რაზმი, პროლეტარიატისა უშუალოდ გადავდივართ სოციალიზმში, მაგრამ მოწინავე რაზმი ხომ უმცირესი ნაწილია პროლეტარიატისა, რომელიც თავის მხრივ არის უმცირესი ნაწილი მცხოვრებთა მთელი მასსისა და თუ გვინდა რომ „ჩვენ" უშუალოდ გადავიდეთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა გამოვნახოთ ის მაშველი გზები, ხერხი და ღონისძიებანი, რომელიც საჭიროა კაპიტალიზმამდე არსებულ ურთიერთობიდან სოციალიზმში გადასასვლელად და დიდი ძალღვა საკითხისა სწორედ აქ არის!

(შემდეგი იქნება)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკის სასურსათო ყრილობა

29 ივლისის სხდომა

მოხსენებები ადგილებიდან

(იხ. კომ. № 139)

რაჭის მაზრა: მომხსენებელი აღნიშნავს სამსასურკომის არსებობის ორ პერიოდს. პირველი პერიოდი: 1 მარტიდან 5 აპრილამდე, როცა თავმჯდომარეთ იყო გოცირიძე, და მეორე პერიოდი 5 აპრილიდან 25 ივლისამდე ამხ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით. პირველი პერიოდი მას ბოლომდის რაღაც გაუგებრობათ მიაჩნია, არ არის სათანადოთ დაყენებული ანგარიშების საქმე, არც რამე იყო გაკეთებული, ამასთანავე სამსასურკომი ექვემდებარებოდა სამაზრო რევკომს.

მეორე პერიოდში შედგენილ იქმნა სწორი სია დარჩენილ ქონებისა, მცხოვრებთა მდგომარეობა რომელიც მეტათ მძიმეა. რაჭის მაზრა საერთოთ მუდამ მშიერი იყო. მაზრას წელიწადში თითქმის ერთი მილიონი ფუთი პურზე მეტი არ ყოფნის. ამ წელიწადს მდგომარეობას აუარესებს ის გარემოებაც, რომ რაჭის მაზრა საომარ მოქმედებათა არეს წარმოადგენდა და მენშევიკების ჯარების უკან დახევის დროს ყველაფერი თან წაიღეს, უმთავრესად კი წაიყვანეს საქონელი. ამის გარდა მაზრის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა. წინათ ბევრნი სამუშაოთ მიდიოდნენ, ეხლა კი ყველა დაბრუნდნენ სახლში. პური მოგვაქვს ჩრდილო კავკასიიდან, იქიდან აღგვითქვეს 10,000 ფუთი პურის უსასყიდლოთ მოცემა. სამსასურკომის საწყობებში ისეთი საქონელი იყო, რომ ის საქონლის გაცვლა გამოცვლისათვის არ ვარგოდა—მაგ. პარფიუმერია და სხ. ასეთის. მაზრა საქონლის დიდ ნაკლებლობას განიცდის. მაზრის მცხოვრებთა რაოდენობა ასი ათასამდე აღწევს. სამსასურკომი სუსტი თანამშრომლების ამხ. ჯაფარიძის გარდა ყველა გამოუცდელია; სამსასურკომი საჭიროებს ცენტრიდან დახმარებას.

შორაპნის მაზრა: საბჭოთა ჯარების შემოსვლის შემდეგ დარჩენილი სურსათ სანოვაგე წითელ არმიელებს მიეცა. სამსასურკომმა მოახერხა 600 ფუთ ღვინის დამზადება, რომელიც მან სიმინდზე გადაცვალა უკანასკნელ ხანს მიღებულ იქმნა სახსაკომიდან შაბიამანი, რომელიც აგრეთვე სიმინდზე გადაცვალეს. შორაპნის მაზრა თვითონ ვერასოდეს ვერ გამოჰკვებავს თავისთავს და იქ ეხლა შიმშილია. მცხოვრებლები იქ თავისათვის პურს „მეტომრეობით" შოულობენ. პური ძალიან ნაკლებათ არის და მცხოვრებლები მას გარედან მოელიან, თავისი პური მაზრას მხოლოდ 6 თვეს თუ ეყოფა. ყურძნის მოსავალი კარგია. შეიძლება დამზადდეს ასი-ათას ფუთამდის ღვინო. შეიძლება აგრეთვე დამზადებულ იქმნეს ლობიო, ყველი და კვერცხები.

ოზურგეთის მაზრა: როცა სამსასურკომმა დაიწყო თვისი მუშაობა მან ცარიელ საწყობების გარდა სხვა ვერაფერი ნახა, შემდეგ მან მიიღო თანხა სახსასურკომიდან, მაგრამ ის, რის შესყიდვაც შეიძლებოდა, ძლივს აკმაყოფილებდა იმისავე მოთხოვნილებებს. რაკი არ არის შესყიდვის საშუალებები, ამიტომ ხორბლეულობა იკარგება, მას კერძო პირები ყიდულობენ და მაზრიდან მიაქვთ. მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ კი გვალვები არ იქნება. შეიძლება ხილისა და ღვინის დამზადება, საჭიროა თანხები, თორემ ყველაფერი გაცურდება ხელიდან და სპეკულიანტების გახდება.

ქუთაისის მაზრა: როდესაც ახალი კოლეგია შეუდგა თავის მოვალეობათა შესრულებას—სამსასურკომში არ იყო არც პროდუქტები და არც ფული რევკომიდან ჯანსაღობის და ფინანსიურ განყოფილებაში შემოდიოდა ცოტა ძლიერ მცირე თანხები, ვალში წამოღებულია 190 მილიონი მანეთის პროდუქტები. მოვალეები ვალის გადახდასა თხოულობენ, ფული კი არ არის, ქალაქ ქუთაისში და მის მაზრაში იმ მომხმარებელთა საერთო რიცხვი, რომლებსაც სამსასურკომი არჩენს, 23976 კაცს უდრის მათგან ქალ. ქუთაისში—14224 მომხ. მაზრაში კი—9752 კ. მომხმარებელთა საერთო რიცხვისაგან 6858 მუშა და მოსამსახურეა, 15876 მათი ოჯახების წევრები, 1242 კაცი—ტუსაღება, ავათმყოფები, ინვალიდები, და წითელ არმიელთა ოჯახების წევრები. მათ გამოსაკვებათ ყოველდღიურათ საჭიროა 56 მილიონი მანეთი, თუ კი დავკმაყოფილდებით მხოლოდ მუშებით და მოსამსახურეებით (უოჯახებოთ), მაშინ საჭიროა 28 მილ. მან., თუ სურსათ-სანოვაგეს მივაწვდით მხოლოდ ფიზიკურ შრომის მუშებს—მაშინ დღეში საჭიროა 20 მილ. მან., კმაყოფას ეხლა ჰღებულობენ მხოლოდ ფიზიკურად მომუშავენი, საავადმყოფოები და სატუსაღოები. მოსამსახურენი მთელი თვეა, არაფერს არ ჰღებულობენ. სასადილოებში 1200 კაცი სადილობს, დანარჩენებმა მოისურვეს პროდუქტების ნატურით მიღება, მაგრამ ჯერ არაფერი არ მიუღიათ. საჭიროა თანხები, საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის საქონლის რაოდენობა ძალიან მცირეა.

ბორჯომის რაიონი: დასათესი მიწის მოედანი აქ ძალიან პატარაა. რაიონში ბევრია მუშები, რადგანაც აქ არის შუშის და სხვა ქარხნები. სურსათის მარაგი და თანხები არ გვქონია, მუშები და მოსამსახურეები ჯამიდის არ ჰღებულობენ პურს, ოჯახისათვის თვითეულ მუშას ეძლევა ნახევარი გირ. პური. დაარსდა მიმილიონი მუშათა კოოპერატივი, რომელიც უკვე მოქმედებს და რომელსაც სასურკომის ადგილი უჭირავს, ბორჯომში არის ადგილობრივი წარმოებისავე ბევრი საქონელი, რომელიც გამოადგება სოფელთან საქონლის გაცვლა გამოცვლის დროს. უკვე მიცემულია ორი ვაგონი შუშა (როგორც (ნატურპრემია) მუშების რიცხვი 1667 კაცს უდრის, ოჯახებით კი —3000 კაც. კარტოფილის მოსავალი შუად იქნება, არის ერთი სასადილო, მაგრამ იგი ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია. მუშათა კოოპერატივთან უკვე მოქმედებენ რაიხი სასადილო.

ამით დასრულდა მოხსენებები ადგილებიდან. ბოლოს მიღებულ იქნა წინადადება, რომ ყველა ციფრები—სასურსათო მდგომარეობის შესახებ—მომხსენებლებმა გადასცენ სახსასკომს სტატისტიკურ განყოფილებას.

სხდომა დაიხურა 3 საათ. და 40 წუთზე.

23 ივლისის საღამოს სხდომა.

სხდომა იხსნება 6 საათ. და 30 წ. ამხ. ერქომაიშვილი, უპასუხებს რა ზოგიერთ შეკითხვებზე ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ, აღნიშნავს, რომ თითქმის ყველა მომხსენებლებისათვის დამახასიათებელია—უკმაყოფილება ცენტრით იმის გამო, რომ იგი თავის დროზე არ აწვდიდა მათ თანხებს და აგრეთვე იმის გამოც, რომ არსებობს რწმუნებულების ინსტიტუტი. ამხ. ერქომაიშვილი ამბობს, რომ თვითეული სამსასურკომი მხოლოდ თავის მაზრის საჭიროებათა შესახებ ზრუნავს და ხშირათ თავის მაზრის ინტერესებს, საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს. ასეთ მდგომარეობის დროს მთელი რესპუბლიკის სურსათ სანოვაგით წესიერი მომარაგება წარმოუდგენელია და ამიტომ საჭირო გახდა რწმუნებულების ინსტიტუტის შექმნა, რომლებიც ადგილობრივ წარმოადგენენ სახსასკომს, და მათ დაევალათ დამზადების წარმოება სახელმწიფოებრივ მასშტაბით. ორატორი მიჰმართავს სამსასურკომებს უკუაგდონ ვიწრო ტერიტორიალური პატრიოტიზმი და იფიქრონ მთელი მაზრის ინტერესებზე, ამ მიზნით რწმუნებულებს ნუ შეუშლიან ხელს წვრილმან თავმოყვარეობისა და პირადი ანგარიშების გამო დამზადების საქმეში და პირიქით გამოუჩინონ მათ ყოველივე დახმარება.

შემდეგ ამხ. ერქომაიშვილი ჰკითხულობს მოხსენებას—სასურსათო გადასახადის შესახებ.

(შემდეგი იქნება)

მოტანილია 43 ვაგონი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, 2 ვაგონი ლითონი.

კონცესიები

პეტროგრადი. 14 აგვისტო (ტელ.) უცხოელთა ჯგუფმა დაათვალიერა დუბროვის ქაღალდის ქარხანა კონცესიების აღების მიზნით.—პეტროგრადში მოელიან შვეციის მრეწველობის წარმომადგენლებს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საკითხი ასანთის ზოგიერთი ქარხნების იჯარით აღების შესახებ.

საწარმოვო პროპაგანდა

პეტროგრადი 25 აგვისტო (ტელ.) კავშირთა საბჭოს კულტურულმა განყოფილებამ გამოიმუშავა გეგმა საწარმოო პროპაგანდისა თითოეულ ამქარში, თითოეულ ცალკე სახელოსნოში გამოყოფილი იქნება ცალკე ჯგუფი უფრო მომზადებულ მუშებისა, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ წარმოების განვითარებას. მთელს წარმოებაში გამოყოფილი მუშები შეადგენენ საინიციატივო რგოლს, რომელიც შეაერთებს დანარჩენ წარმოების მუშებს და შეადგენს მათგან ერთს ცენტრს საგუბერნიო პროფესიონალურ საბჭოსთან საწარმოვო აგიტაციისა და პროპაგანდისათვის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობა.

რიგა. 8 აგვისტო. გერმანული „ეკონომისტი" კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთმა ყოველი ღონე იხმარა, რათა ცხოვრებაში გაეტარებინა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება. სავაჭრო ხელშეკრულების დადების უმალვე რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ამიერიდან ღია არის ბალტიისა, თეთრისა და შავი ზღვის ნავთ სადგურები. პეტროგრადის ნავთსადგურში მრავალი გერმანელი გემი მივიდა. ამ ნავთ სადგურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გემების გადმოტვირთვა ხდება დაუბრკოლებლივ. სალოცმანო საქმე თავის ღირსების სიმაღლეზე სდგას. გემებზე მოსამსახურეების ხელშეუხლებლობა უზრუნველ ყოფილა. ამ გვარად რეისები პეტროგრადისკენ შეიქნება მუდმივი ხასიათისა და გერმანიის სავაჭრო ფლოტი გადიდება [illegible] რუსეთთან ურთიერთობისა. პეტროგრადის ნავთსადგურს ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რუსეთსა და გერმანიის ურთიერთობაში იმდრომდე, ვიდრე არ განხორციელდება რუსეთ პოლონეთის ხელშეკრულება გერმანიის საქონლის პოლონეთზე ტრანზიტით დაუყონებლივ გადაზიდვის შესახებ.

პოლონეთის ძველმა მთავრობამ შექმნა ტრანსპორტის ისეთი პირობები, რომელთაც ვერ მიიღებდა ვერც რუსეთი ვერც გერმანია. ეს პირობები უპირატესობას რუსის ბაზარზე უტოვებდა პოლონეთის საქონელს.

განხორციელება ცხოვრებაში რუსეთ ინგლისის და რუსეთ გერმანიის შორის დადებულ ხელშეკრულებისას შექმნის ახალ გზას რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობისას.

როგორც დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბერლინში მყოფი საბჭოთა წარმომადგენელი უკვე მოურიგდა ცნობილ „გამბურგ ამერიკის საზის" ფირმა საზოგადოებას ტრანსპორტის პირობების შესახებ.

ინგლისი.

ინგლისის პოლიტიკა.

ნაუენი, 20 აგვისტო (რადიო) ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა: ინგლისის სახელმძღვანელო პრინციპია შეთანხმება დიდი ბრიტანეთისა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებთან და იაპონიასთან, ეს შეთანხმება ერთად ერთი გარანტიაა საერთო მშვიდობიანობისა.

ინგლისის თემთა პალატაში.

ნაუენი, 19 აგვ. (რადიო). სამშაბათს ლოიდ ჯორჯი გამოვიდა თემთა პალატაში ვრცელი სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ზავის ჩამოგდების შემდეგ. ლოიდ-ჯორჯის სიტყვა ასკვიტმა მიიჩნია სავსებით დამაკმაყოფილებლად. მუშათა წარმომადგენელი თემთა პალატაში თომასი, შეჩერდა მისი ენების იმ ნაწილზე, რომელიც ეხებოდა ზემო სილეზიას და განაცხადა, რომ ის იზიარებს ლოიდ ჯორჯის თვალსაზრისს და მას მიაჩნია, რომ საფრანგეთის ინტერესები გერმანიაში მიმართულია როგორც ინგლისის ინტერესების აგრეთვე საერთაშორისო ზავის წინააღმდეგ. თომასი მოითხოვდა გერმანიის მიმართ შემაერთებელ პოლიტიკის წარმოებას.

ამერიკა და ამიერ კავკასია.

ნიუ-იორკი. 15 აგვისტო (რადიო). ამერიკის პრესა ადასტურებს ამიერ კავკასიის ყოფილ მთავრობათა წარმომადგენლების შეთანხმების ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზში. „ნიუ-იორკი—ჰაიმ" დაწვრილებით ეხება ამ შეთანხმების მოტივებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის წარმომადგენელთა პოლიტიკა არსებითად ეწინააღმდეგება ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობის პოლიტიკას. ეს უკანასკნელი კატეგორიულად მოითხოვს რუსეთთან მჭიდრო კავშირს.

სლავიანთა რიცხვი.

ლიონი. 21 აგვ. (რადიო). საერთაშორისო სტატისტიკური ბიუროს აღრიცხვით სლავიანთა საერთო მცხოვრებთა რიცხვი 137,500,000 კაცამდე აღწევს. ამათში 94 მილიონი რუსეთში, 5 მილიონი ბულგარეთში, 8 მილ. 500 ათასი ჩეხო-სლოვაკიაში, 17 მილიონი პოლონელები და სხვა.

გერმანია

გერმანიის ტერიტორიის ოკუპაცია

ნაუენი. 21 აგვისტო, (რადიო), 81 პროც. მთელი მოედანი გერმანიისა რკინის პროვინციებისა უცხოელთა ლაშქრის მიერ დაჭერილია. საერთო სივრცე პრუსიის ტერიტორიისა, რომელიც დაჭერილია საფრანგეთის მიერ უდრის 20,915 კილომეტრს. $5\frac{1}{2}$ მილიონი მოსახლეობით.

ვანდალიზმი.

ნაუენი. 21 აგვისტო (რადიო). ფრანკ-გერმანელთა შერეულმა კომისიამ გამოარკვია საკითხი ზარალის შესახებ, რომელიც მოაყენეს საფრანგეთის ჯარის ნაწილებმა გერმანიას, როცა ისინი დაბინავებულნი იყვნენ დიფსელდოკის და ლიზბურგის სკოლებში. დამტკიცდა, რომ სკოლის კედლები, სკამები, ფანჯრების ჩარჩოები და სასწავლო ნივთები სრულიად განადგურებულია.

მელითონეთა გაფიცვა

ბერლინი, 20 აგვისტო (რადიო). მიღებულ ცნობებით გალში და ლეიპციგში ხელახლა იფეთქა ლითონზე მომუშავე მუშების გაფიცვამ.

შვეცია.

პარლამენტთა კონგრესი.

ნაუენი. 19 აგვისტო. (რადიო). სტოკჰოლმში გაიხსნა პარლამენტთა კონგრესი. კონგრესზე წარმოდგენილია ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, იტალია, ნორვეგია, ჰოლანდია, შვეიცარია და შვეცია.

საფრანგეთი.

ფეიქართა გაფიცვა.

ნაუენი. 20 აგვისტო. (რადიო). საფრანგეთის ჩრდილო რაიონში ფეიქრებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც მოედვა მთელ [illegible] მწარმოებელ ქალაქებს.

სპარსეთი

ინგლისელები სპარსეთში

ხამადანი. 15 აგვ. „აიდჩი" სწერს: ქამადანიდან იუწყებიან, რომ ინგლისელი ჯარები საჩქაროთ მიდიან იქიდან. ქამადანში რჩება მხოლოდ მცირე ნაწილი 100 ინდოელ ჯარის კაცისაგან და რამდენიმე ინგლისელ აფიცრებისაგან შემდგარი.

ამერიკა

ზანგთა კონგრესი.

მოსკოვი, 11 აგ. ნიუ-იორკში ეგრედ-წოდებულ „აფრიკის პრეზიდენტის" გარვეის თავმჯდომარეობით გაიხსნა ზანგთა კონგრესი. გამოიცა მოწოდება, რომელიც 40,000,000 ზანგთა სახელით მოითხოვს მიენიჭოს აფრიკა აფრიკელებს და თანაც აცხადებს, რომ შემდეგი ომი იქნება ომი რასსებისა, რომელშიაც თეთრები ამოიჟლიტებიან აფრიკელების მიერ.

ლიტვა

ფოსტა ტელეგრაფის კონფერენცია.

ნაუენი, 19 აგვ. 10 სექტემბერს რიგაში გაიხსნება ფოსტა-ტელეგრაფის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: გერმანია, დანია, რუსეთი, შვეცია და თავისუფალი ქალაქი დანციგი.

მაქსიმე რევია

მუდამ მოღიმარი, სიცოცხლით სავსე, დაუშრეტელი ენერგიის მქონე, დაუღალავი მუშაკი და შემოქმედებითი ნიჭით სავსე მაქსიმე უდროოთ გამოგვტაცა ხელიდან შავმა სიკვდილმა.

სამხედრო სკოლაში მაქსიმეს იცნობდა ყველა, როგორც საუკეთესო ხელმძღვანელ აღმზრდელს, ნიჭიერს და სამხედრო საქმის ზედ მიწევნით მცოდნეს. საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ, განსვენებული მაქსიმე გაგზავნილი იყო ქ. მოსკოვში, იქ არსებულ სამხედრო კურსანტთა სკოლების ორგანიზაციის შესასწავლად. გზაზედ ქ. როსტოვში 5 ივლისს იმსხვერპლა ხოლერამ მშრომელი ხალხის, სამშობლოსათვის თავგანწირულ მებრძოლ მაქსიმეს წილათ არგუნა ულმობელმა წუთისოფელმა ცივი სამარე, შორს მოშორებული წმიდა მამა-პაპათა საფლავებს. უძვირფასესო მეგობარო, მაქსიმე! შენი სახელი, შენი მგრძნობიარე სახე, რომელიც აღიბეჭდა ჩემ გულში ხუთი წლის წინეთ, მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. არ დაგვივიწყებს შენი საყვარელი სამშობლოც და უნუგეშოთ დარჩენილი დედა, ძმა და მეგობრები.

მშვიდობით ჩემო უდროოთ დაღუპულო საუკეთესო მეგობარო, მაქსიმე. საუკუნო იყოს შენი ხსენება!

ე. თ. ხარაიძე.

ქრონიკა

◆ **ავათმყოფთა გაგზავნა ახტალა და წყალტუბოში,** ამ კვირის შუა განზრახულია ავათმყოფთ მუშებისა და მოსამსახურეთა გაგზავნა ახტალაში და წყალტუბოში. ყველა ის პირნი, რომელნიც მიღებულნი არიან და დამტკიცებულნი გასაგზავნათ საკურორტო კომისიის მიერ, ახტალა და წყალტუბოში, უნდა გამოცხადდენ ოთხშაბათს 24 აგვისტოს სას. ჯანმრთ. კომისარიატში ცნობების მისაღებათ. ავათმყოფებს მიეცემათ გამგზავრების საშუალება, აგრეთვე სასმელი და ბინა. წყალტუბოში წამსვლელთ ჩაიყვანენ ქუთაისამდე.

◆ **ახალი გამოცემანი.** მთავარ სახელოვნო კომიტეტის ლიტოს სექციას განზრახული აქვს გამოსცეს: 1) ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი. 2) დროგამოშვებით უცხოელ მწერალთა კრებული და 3) თანამედროვე მწერალთა თხზულებანი.

◆ **კაფე „ფიროსმანა"** 20 აგვისტოდან გაიხსნა პოეტების კაფე „ფიროსმანა", ლერმონტოვის ქუჩა ყოფილი „ალიანსი".

◆ **შ. ნ. საქ. სახ. კომისარიატში** შ. ს. კომისარიატში დაამუშავეს განმარტებითი წერილებით და წარუდგინეს საქრევკომს დასამტკიცებლად დეკრეტების პროექტები: ცენტრისა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობის შესახებ და საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ თანამშრომელთა გაწვევაზე და მათ მიერ საქმეების ჩაბარებაზე გაწვევის დროს.

◆ **პურის მიცემა.** ისევ განახლდა პურის დარიგება მუშებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მუშაობას ეწევიან.

◆ **ქალაქის რევკომში.** თბილისის ქალაქის რევკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვარძიელის შვებულების გამო, მისი მოვალეობათა ასრულება დაევალა ქ. რევკომის წევრს ამხ. ახვლედიანს.

◆ **სამაზრო რევკომების რევიზია** შ. ს. კომისარიატის მიერ სამაზრო რევკომების სარევიზიოდ შედგენილ საგანგებო კომისიის წევრთა ნაწილმა უკვე დაამთავრა რევიზია და დაბრუნდა თბილისში. რევიზია დამთავრებულია სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში და ბათუმის ოლქში. ამ დღეებში შ. ს. სახ. კომისარს წარუდგინეს მოხსენება რევიზიის შედეგების შესახებ.

◆ **ყრილობები შ. ს. სახ. კომისარიატი** თბილისში იწვევს ყრილობებს: 10 სექტემბერს მაზრების და ქალაქების რევკომების საინსტრუქტორო საინფორმაციო ქვე განყოფილებათა გამგეებისას; 20 სექტემბერს იმავე რევკომების კომუნალურ ქვეგანყოფილებათა გამგეებისას და 10 ოქტომბერს იმავე რევკომების თავმჯდომარეებისას.

◆ **მადლობის გამოცხადება.** კიევიდან და საერთოდ სამხრეთ-რუსეთიდან ჩამოსული ქართველები ულრმეს მადლობას უძღვნიან მოსკოვში არსებულ წითელ არმიელთა დამხმარე სრულიად რუსეთის კომიტეტს, მის თავმჯდომარეს ამხ. ტროცკისას და მოსკოვში მყოფ საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკის სრულ უფლებიან წარმომადგენელ ამხ. ცხაკიას, რომელთაც ხელი შეუწყვეს და დიდი დახმარება გაუწიეს უკაინის ქართული კოლონიის წევრებს სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

◆ **ავეჯეულობის დამზადება.** საქართველოს სამეურნეო მთავარი საბჭო საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს აუწყებს, რომ მის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანაში ამჟამად მოიპოვება უკვე დამზადებული 13 „დიუჟინი" ვენური სკამი და მასალა 100 „დიუჟინი" სკამის შესაკრავად. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამასთანავე დასძენს, რომ ყოველდღიურად ქარხანას შეუძლია დაამზადოს 3—4 „დიუჟინი" სკამი.

პარტიული ცხოვრება

რაჭის მაზრის კონფერენცია კომუნისტური პარტიისა.

22 ივლისს მოწვეულ იქნა სამაზრო კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 24 ორგანიზაცია. გადამწყვეტი ხმით ღებულობდა მონაწილეობას კონფერენციაზე 44 ამხანაგი და სათათბირო ხმით კი 8 კაცი, ისინი სტუმრებიც. კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ცეკას წარმომადგენელი ამხ. დ. ნასარიძე, რომელიც მიესალმა კონფერენციას ც. კ.-ს სახელით. პრეზიდიუმის წევრებათ არჩეულ იქნენ ამხ. წულუკიძე, და კ. გობეჯიშვილი. აგრეთვე პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ ერთ ხმათ არჩეულ იქნენ ამხ. ლენინი ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი, სტალინი, მახარაძე, ცხაკაია, და ი. ენუკიძე. ამხანაგ დ. ნასარიძის წინადადებით კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთ კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. მისივე წინადადებით კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცეკას, რევკომს, საქართველოს შეიარაღებულ წითელ არმიას, რუსეთის წითელ არმიას, და ზემოთ აღნიშნულ პრეზიდიუმის ყველა საპატიო წევრებს. კონფერენციამ დღიურ წესრიგში დასვა შემდეგი კითხვები 1) სამანდატო და სარედაქციო კომისიის არჩევა, რომელსაც მიენდო მისასალმებელი დეპეშების ტექსტის შემუშავება და კონფერენციის მორიგ კრებაზე წარმოდგენა დასამტკიცებლით, რაიც სისრულეში მოყვანილ იქნა. 2) მომენტი და ჩვენი პარტიის პოლიტიკა, მოხსენებას აკეთებს პ. წულუკიძე, 3) ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა და პერსპექტივები ა. კობახიძე, 4) ორგანიზაციულ საკითხზე ი. ყურაშვილი, 5) მოხსენებები ადგილებიდან, 6) სამაზრო პარტკომის მოქმედებაზე ნ. ენუქიძე, 7) სამაზრო რევკომის მოქმედებაზე კ. გობეჯიშვილი, 8) ტყეების განადგურების წინააღმდეგ ბრძოლა, 9) ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა, 10) ახალი სამაზრო პარტკომის არჩევნები, 11) სარევიზიო კომისიის არჩევნები, 12) სრულიად საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე დელეგატების არჩევა და 13) მიმდინარე კითხვები. ყველა ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე კონფერენციამ გულდასმით იქონია მსჯელობა, სხდომები გაგრძელდა ოთხი დღე. მიუხედავათ იმისა, რომ 2-რე, 3-მე და 4 ხე კითხვებზე მოხსენებებმა გამოიწვია ცხარე კამათი, კონფერენციამ მაინც ხმის დიდი უმეტესობით მიიღო პარტიის შემდგომი მუშაობისათვის სახელმძღვანელოთ ძირითადი ტეზისები წარმოდგენილი ამხ. დ. ნასარიძის მიერ რეზოლიუცია მომენტზე მიღებული თბილისის კონფერენციაზე. რაც შეეხება ადგილობრივ სპეციფიურ პირობების მიხედვით მომენტზე დამატების სახით მიღებულ იქნა ამხ. პ. წულუკიძის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, აგრეთვე 3 მე და 4 ხე კითხვებზე გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუციები. ადგილებიდან მოხსენებებმა კონფერენციის წინაშე გადაშალა ბევრი საყურადღებო კითხვები. ყველა მოხსენებიდან სჩანდა, რომ ადგილობრივ იაჩეიკებში სწარმოებს პარტიული მუშაობა, მიუხედავათ იმ მეტათ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, რომელიც გამოწვეულია სურსათ სანოვაგის მწვავე კრიზისის გამო, რითაც ხალხის ჯალათები მენშევიკური თავრობის აგენტები უხვათ სარგებლობენ და ავრცელებენ ფართო მასაში ყოველ საზიზღარ ხმებს, რაც ძალზე აბნელებს ჩვენი პარტიის ადგილობრივი ნაყოფიერ მუშაობას, და აგრეთვე ჩვენი მთავრობის ყოველგვარ განკარგულებების გატარებას.

დიდი ნაკლებობა არის გამოცდილი ამხანაგებისა ყველგან, რაიც მეტის მეტად აბრკოლებს ფართო მასაში იდეურ და პრაქტიკულ მუშაობას, რასაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. სამაზრო პარტკომის მუშაობის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტკომის კავშირი იაჩეიკებთან ყოფილა ძალზე სუსტი. სახელმძღვანელო ინსტრუქციებს იაჩეიკები გვიან ღებულობდენ, საერთოთ პარტკომის მუშაობა, რომელიც სწარმოებდა მაზრაში მეტათ მძიმე პირობებში, როგორც იყო სამხედრო მდგომარეობა და მისგან გამოწვეული პირობები, ძალზე გაძნელებული იყო. პარტკომმა მაინც შესძლო ორგანიზაციული შენება პარტიის მაზრაში. კონფერენციამ მისი ანგარიშები დაამტკიცა. ისედაც დამშეულ მაზრაში, რომელიც გამწვავდა წითელი არმიის გადმოსვლით, აგრეთვე აძნელებდა სამაზრო რევკომის მუშაობასაც, რაც გამოირკვა მოხსენებიდან, მაგრამ მიუხედავათ მრავალგვარი დაბრკოლებისა რევკომის მუშაობა იყო დამაკმაყოფილებელი.—კონფერენციამ მიიღო სასტიკი დადგენილება ლოთობის წინააღმდეგ, აგრეთვე ტყეების განადგურების წინააღმდეგაც. კონფერენციამ მიანდო სამაზრო რევკომს სასწრაფოთ შექნას კამისია განსაკუთრებული უფლებებით რათა იგი შეებრძოლოს ტყეების განადგურებას, საიდანაც და ვისკანაც უნდა ხდებოდეს ის. კონფერენციამ ამოირჩია ახალი სამაზრო კომიტეტი შვიდი ამხანაგისგან შემდგარი. პარტკომის პასუხის მგებელ მდივნათ იქნა არჩეული ამხ. დ. ნასარიძე. სარევიზიო კამისიაში არჩეულ იქნა სამი ამხანაგი. ა. კობახიძე, ი. ესაიშვილი და ა. ყურაშვილი, რომელთაც დაევალა ყოფილი მთავრობის დროს ჩვენი პარტიის კომიტეტებიდან ყოველგვარი ანგარიშების მიღება და ახალის კონტროლიც. სრულიათ საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე დელეგატებით არჩეულ იქნენ სამი ამხანაგი კ. გობეჯიშვილი, პ. დვალი, და ი. ყურაშვილი. კონფერენციას არ დაუტოვებია უპასუხოთ რამოდენიმე მიმდინარე საჭირბოროტო კითხვებიც. კონფერენციამ მთავარი თავისი ყურადღება მიაპყრო მაზრაში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას, სურსათ-სანოვაგის ძალზე ნაკლულოვანებას. მაზრაში 80 პროც. მცხოვრებთა საშინელ შიმშილს განიცდის. ამას თუ იმასაც დაუმატებთ, რომ წლის დიდმა გვალვამ ძალიან გაანადგურა სიმინდის მოსავალი, აშკარაა რომ შემდეგ მომავალ წლისთვის დიდი განსაცდელი მოელის მთელ მაზრას, რაზედაც ეხლავე უნდა იქნას მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება, როგორც ადგილობრივი მმართველობის ცენტრალურ ორგანოებისაც, როგორიც არის სასურს. კომისარიატი და სხვა.

კონფერენციის მუშაობა იყო ნაყოფიერი საერთოთ, დელეგატებზე მოახდინა დიდი იდეური გავლენა, შეიმუშავა და მიიღო პრაქტიკული მუშაობისთვის სახელმძღვანელო ტეზისები. დასასრულ კონფერენციის დახურვის წინ მიესალმა კონფერენციას ამხ. დ. ნასარიძე, მიულოცა მას მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე კონგრესის დიდი ნაყოფიერი მუშაობის დამთავრება ქალაქ მოსკოვში 24 ივლისი და უსურვა ყველა ამხანაგებს ენერგიული მუშაობის გაჩაღება ჩვენს საამშენებლო ყველა დარგებში საბოლოვო გამარჯვებისათვის, რის შემდეგაც ის ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოეს. კონფერენცია კმაყოფილი დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

აჭაური.

წარმოებითი პროფკავშირებში

პროფესიონალური მოძრაობა

სახალხო კვების და საზოგადო საცხოვრებლის სრულიად საქართველოს კონფერენციის რეზოლიუცია საბჭოთა სახლების მართვა-გამგეობის შესახებ:

კავშირს მიზნათ აქვს მიიღოს აქტიური მონაწილეობა საბჭოთა სახლების მართვა გამგეობის მოწყობაში, რა აზრითაც კავშირი ჰგზავნის იქ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საუკეთესო ამხანაგებს, პატიოსან და ერთგულ მუშაკებს, რათა იხსნას დანგრევისგან ძვირფასი მოწყობილობა, რომელიც უმეტესად სანახევროდ დატაცებულია ყოფილ პატრონებისა და მოიჯარადრების მიერ. საერთო საცხოვრებელი წარმოადგენს დარგს, რომელიც ამზადებს საზოგადოებას კომუნისტურ ცხოვრებისთვის და რომელმაც უნდა სძლიოს კერძო საკუთრების ფსიხოლოგიას. მმართველობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა საზოგადო საცხოვრებლებს გამოუკლებლივ იმ საცხოვრებლებისა, რომლებიც უჭირავთ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქალაქებიც მოწყობილობას ჩვენ მოკლე მომავალში ვერ აღვადგენთ და ამიტომ უფრო ბეჯითად უნდა ვადევნოთ თვალი და გაუფრთხილდეთ პროლეტარულ სახელმწიფოს კუთვნილებას. გაუფრთხილდეთ და დავიცვათ საზოგადო საცხოვრებლები, რომ მათში მივცეთ თბილი და მყუდრო თავშესაფარი და ყოველი მოწყობილობა დაღლილ ამხანაგებს.

რეზოლიუცია ამხ. აბგაროვის მოხსენების გამო კომუნალურ კვების საფუძვლებზე და განვითარებაზე.

სრულიად საქართველოს სახალხო კვებისა და საერთო საცხოვრებელთა მუშაკების პირველი კონფერენცია ადგენს, რომ კომუნალურ კვების წესიერათ მოწყობა და განვითარება მთელ საქართველოს მასშტაბით წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძირითად მიზანს საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ აღმშენებლობისა და ეკონომიურ ძლიერებისას, რომელიც შესაძლებელსა ხდის ერთის მხრით—ქალი განთავისუფლდეს სამეურნეო ზრუნვისაგან და უხსნის მას ფართო მონაწილეობის გზას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეორეს მხრით პროდუქტების თანასწორი განაწილებით შესაძლებელსა ხდის გამოიზოგოს დიდძალი სათბობი მასალა, მუშათა ძალა და პროდუქტები.

ყრილობა ფიქრობს, რომ კომუნალური კვება არ იყო განვითარებული და გატარებული ცხოვრებაში უფრო ფართოდ, ერთის მხრივ ობიექტიურ პირობების გამო, ხოლო მეორე მხრით იმის გამო, რომ იმ ორგანოთა უმეტესობის სათავეში, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ კვების საქმეს, ადგნენ გამოუცდელი პირნი, რომელთაც არა ჰქონდათ არც პრაქტიკული გამოცდილება, არც პროფესიონალური სტაჟი ამ წარმოების რთულ დარგში. ჰხედავს რა მეტად დიდ მიზნებსა და პერსპექტივებს, რომელნიც წინ უდგანან კავშირს კომუნალურ კვების წესიერად დაყენების საქმეში, ყრილობა ადგენს:

1. მთელი ყურადღება და ენერგია მიექცეს კავშირის წევრთა შორის მაგარ რკინის დისციპლინის განმტკიცებას.

2. ყოველი ზომით დამზადდეს მუშაკთა და ინსტრუქტორთა ახალი კადრები კავშირის წევრთაგან.

3. ვეცადნეთ პროფკავშირების სრულიად საქართველოს პირველ კონფერენციის დადგენილებათა განხორციელებას იმის შესახებ, რომ სახალხო კვების ხელმძღვანელი ორგანოები მოეწყოს და აგრეთვე რომ საერთოდ განხილულ იქმნას ყველა საკითხები, დაკავშირებულნი ამ წარმოების დარგთან.

4. ადმინისტრატიული და სამეურნეო უფლება საკვებ პუნქტებზე უნდა ეკუთვნოდეს განსაკუთრებით კვების განყოფილებას და სათანადო კავშირს და არას დროს არ უნდა გაერივნენ ამ საქმეში ცალკე დაწესებულებანი და კავშირები.

5. კვების მთელი საქმე უნდა ექვემდებარებოდეს ერთს ორგანოს.

6. აუცილებლათ საჭიროა თან და თანი გადასვლა წვრილ კულტარულ ერთეულებიდან საფაბრიკო წარმოებაზე, რისთვისაც უნდა შეიქმნას ფაბრიკა—სასადილოები, მოწყობილნი ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის თანახმად.

7. საკვები პუნქტები უნდა ტეხნიკურადაც კარგად იყვნენ მოწყობილნი და ამავე დროს [illegible] ვენების ადგილად, და ამით [illegible] ის ფსიხოლოგია,—რომ ინდივიდუალური კვება უფრო ხელსაყრელი იყოს, ვიდრე კომუნალური.

8. კომუნალური კვება პირველ რიგში უნდა გავრცელდეს: ა) ბავშვებზე, ინვალიდებზე და ავადმყოფებზე, ბ) იმ მუშებზე, რომლებიც მძიმე ფიზიკურ მუშაობას მისდევენ და გ) მოსამსახურეებზე; უნდა შემუშავდეს კვების განსაზღვრული ნორმები სხეულის მოთხოვნილების თანახმათ.

რეზოლიუცია მუშათა კოოპერაციის შესახებ.

მოისმინა რა ამხან. ლევშენზონის მოხსენება მუშათა კოოპერაციის შესახებ, სახალხო კვების და საზოგადო საცხოვრებელთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა, ეთანხმება რა მომხსენებლის მიერ წამოყენებულ ძირითად დებულებებს, ადგენს: 1) საჭიროთ მიაჩნია, რომ მუშები და მოსამსახურეები დაირაზმნენ მუშათა კოოპერატივებში, 2 ადგილებზე ამ მიზნისათვის გამოიყოს საჭირო კადრი მომზადებულ მუშაკებისა პროფკავშირის წევრთაგან, რომელნიც იმუშავებენ მარტო კოოპერატივში, 3) სანამ ყველა კოოპერატივები შეერთდებოდნენ ორგანიზაციულათ მთელი საქართველოს მასშტაბით, აუცილებლად ჩაითვალოს მჭიდრო კავშირი იქონიონ ურთიერთ დახმარების ნიადაგზე—თბილისის ერთიან მუშათა კოოპერატივსა და პროვინციალურ კოოპერატივებს შუა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 48.

ფულის გადაგზავნის ნიხრის შეცვლის შესახებ ხაზინებში.

ხაზინებისათვის საბანკო წესების მე 95, 96 და 113 მუხლების და მათ შესავსებლად და განსამარტებლად გაცემულ ყველა განკარგულებათა დამატებად და შესაცვლელად დაწესდეს დროებით მდგომარე წლის 20 აგვისტოდან შემდეგი ნიხრი როგორც ბარათით, ისე ტელეგრამით ფულის გადაგზავნისათვის.

100 000 მანეთამდე . . 5.000 მან.
100.000 ზევით 500.000 მანეთამდე—15.000 მან.
500.000 ზევით მილიონამდე 25.000 მ.
1 მილიონ ზევით 5 მილიონამდე 50.000 მან.
5 მილიონ ზევით 10 მილიონამდე 75.000 მან.
10 მილიონ ზევით 75.000 მან. ყოველ ათ მილიონზე. ასე რომ არა სრული 10 მილიონი იანგარიშებოდეს სრულ 10 მილიონად.

ფულის ტელეგრამით გადაგზავნისათვის გამზადებულის გადახდის გარდა ამისა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მიერ დაწესებული სატელეგრაფო გადასახადი გადასაცემ სიტყვების რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნა: განთავისუფლებულ იქმნას ზემოაღნიშნულ ფულის გადასაგზავნ ხარჯებისაგან სახელმწიფო დაწესებულებანი და საბჭოთა მოსამსახურენი იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ფული გადააქვთ სახელმწიფო დაწესებულებებისავე სახელდახელო ანგარიშზე ჩასარიცხად ან მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოადგილე ბ. ბახინეიშვილი.

ბრძანება № 37

ქალაქ თბილისის და მისი რაიონების რევოლიუციონურ კომიტეტისა.

1. შენიშნულია, რომ უკანასკნელ ხანებში სახლის კომიტეტები იძლევიან ყალბ ცნობებს ოთახების და მცხოვრებთა რაოდენობაზე, აგრეთვე მალავენ მუშების საჭიროებისათვის ჩამორთმეულ ოთახებს, უცვლიან ნომერებს ოთახებს, ასახლებენ თავიანთებს ორდერის არ მქონეთაც და სხ.

აქცევს რა ქალაქის რევკომი მოქალაქეთა ყურადღებას ამ მოვლენას, აცხადებს, რომ სახლის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ჩაიდენს ასეთ არაკანონიერ მოქმედებას, დასჯილ იქნება დატუსაღებით ადმინისტრატიული წესით 3 თვის ვადით.

შენიშვ.: რაიონულ საბინაო ქვეგანყოფილებებს და კომისიებს ევალებათ ყურადღებით ადევნონ თვალყური ამა ბრძანების შესრულებას, და დარღვევის ყოველ კერძო შემთხვევაზე აცნობონ ქალ. რევკომს.

2

ყველა სახლის კომიტეტებს წინადადება ეძლევათ ამა თვის 28 მდე წარმოუდგინონ მუშათა საბინაო მდგომარეობის გამომკვლევ კომისიაში (განოვის 3) მუშების საჭიროებისათვის ჩამორთმეულ ოთახების შესახებ შემდეგი ცნობები: რაიონი, ქუჩის სახელი, სახლის ნომერი, ბინის ნომერი, ოთახების ნომრები.

3.

საბინაო განყოფილებამ მოხსენების თანახმად სახლის პატრონები და ბინის პატრონები არ უშვებენ საბინაო განყოფილების და მუშათა კომისიის თანამშრომელთ თავიანთ ბინების გასასინჯავად და ამით აძნელებენ ქალაქის საბინაო გეგმის გატარებას.

ვაფრთხილებ რა ვისაც ჯერ არს, რომ ასეთი ნებით თუ უნებლიე ხელის შეშლა რევოლიუციონურ ზომის გატარებისა იქნება სასტიკად დასჯილი, ვუბრძანებ მილიციის თანამშრომელთ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ საბინაო განყოფილების და მუშათა კომისიის თანამშრომელთ.

რევკომის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი, მუშათა მდგომარეობის გამომკვლევ კომისიის თავმჯდომარე ლ. ლოლობერიძე.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.
— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.
— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—თელა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.
— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევს 2 საათამდის.

საქართველოს მეღვინეთა ყრილობა დანიშნული 25 აგვისტოს, სხვა და სხვა მიზეზების გამო გადაიდო 1 სექტემბრისათვის. დელეგატებს პროვინციებიდან გთხოვთ აღნიშნულ დღეს გამოცხადნენ კავშირის ბიუროში მუშათა სასახლე, მე—4 სართული. ოთახი № 24.

სხვა და სხვა

— ამ მოკლე ხანში გაიხსნება ასოთ-ამწყობთა მოსამზადებელი კურსები. მსურველთ შეუძლიათ ჩაწერა პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა კავშირის კულტურულ განყოფილებაში (მუშათა სასახლე ოთახი № 23. დილის 9—10 საათამდე) სადაც იძლევიან ცნობებს. ორთავე ჯგუფში, რუსულსა და ქართულში ღებულობენ წერა-კითხვის მცოდნეთ ორთავე სქესისას. 16—30 წლამდე. კურსანტებს ეძლევათ ორმაგი ჯამაგირი სათანადო რიგის მიხედვით და ერთი გირვანქა პური გარდა ჩვეულებრივი ულუფისა მუშათა მაგიდიდან.

— სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დაჭრილ-დასახიჩრებულთა განყოფილების კოლეგია ამით აუწყებს საბჭოთა დაწესებულებებს და რესპუბლიკის ყველა მოქალაქეებს, რომ ხსენებულ განყოფილებას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს დაჭრილ-დასახიჩრებულთა 1-ლ შრომის არტელთან.

განყოფილების კოლეგია.

თბილისის მაზრის ყველა რაიკომების პასუხის მგებელ მდივნების საყურადღებოთ

ამა წ. 30 აგვისტოს მოწვეული არის თბილისის მაზრის ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნების კრება ქალ. თბილისში რუსთაველის ქ. № 14. დასწრება ყველა პასუხისმგებელი მდივნების სავალდებულოა. დღიურ წესრიგში განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. თანამედროვე მომენტი და ტაქტიკა. 2. მოხსენება ადგილებიდან, 3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა, 4. ურთიერთობა პარტიულ და რევოლიუციონურ ორგანოთა შორის, 5. დამოკიდებულება ახალგაზრდათა კომკავშირთან, 6. პარტიის გაწმენდა, 7. საორგანიზაციო საკითხები და სხვა მიმდინარე კითხვები.

თ. მ. კ. მდივანი ლადო სუხიშვილი.
თ. მ. კ. საქმეთა მმართველი: ვ. ლეჟავა.

ტირაჟი 10,000 5. ჭ. ს. ც. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა რუსთაველის ქ., № 4.